პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 196 (9863) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში

უპირატესობა აშკარა იყო

ახლახან ბათუმში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. ამ შეჯიბრებას ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის სარბიელმა უმასპინძლა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ფავორიტებად თბილისელები ითვლებოდნენ და ეს პროგნოზი გამართლდა კიდეც: თბილისის გუნდმა 866,55 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე მასპინძლები, აჭარის წარმომადგენლები გავიდნენ — 626,30 ქულა. ასევეთივე თანმიმდევრობით განაწილდა ადგილები ქალთა და ვაჟთა გუნდურ პირველობაშიც.

მრავალჭიდში ქალთა შორის ყველას აჯობეს სტელა დავიდოვამ (თბილისი, პროფკავშირები) — 72,725 ქულა, ლალი კოჩიშვილმა — 69,875 და ოქსანა სიკუნოვამ — 67,357 (ორივე — თბილისი, „დინამო“); ვაჟთა შორის კი საუკეთესონი იყვნენ ლევან სისაური (თბილისი, პროფკავშირები) — 110,825, ამირან ბერიანიძე (თბილისი, ასკ) — 108,925 და ვაჟა სადღობელაშვილი (თბილისი, პროფკავშირები) — 108,225. სპორტის ოსტატთა პროგრამით ასპარეზობაშიც ამ სპორტსმენებმა ისახელეს თავი — ვაჟთა შორის ძალთა შეფარდება არ შეცვლილა, ქალთა შეჯიბრებაში კი მესამე ადგილზე ლანა დელიანოვა (თბილისი, „დინამო“) გავიდა.

სპორტის ოსტატობის კანდიდატთა კონკურსში თბილისელთა ჰეგემონია დაიღვა — ვაჟთა შორის საუკეთესო იყო ბათუმელი გენადი სურმანიძე (106,55), რომელმაც თბილისელებს — გიორგი კოსტანიანსა (103,15) და მიხეილ პლიევს (101,95) აჯობა, ქალთა ტურნირის კვარცხლბეკზე კი ავიდნენ თეა თოდაძე (თბილისი, „დინამო“) — 75,0, ლია გვასალია (ბათუმი, სახალხო განათლება) — 70,1 და ტანია გრიჭუროვა (თბილისი, პროფკავშირები) — 66,9.

გიორგი მურვანიძე.

სადედოფლო თელავი

სექტემბრის მიწურულს თელავში დაიწყო მატჩი მსოფლიო ჩემპიონის სატიტულო გვირგვინისათვის ორ უძლიერეს ქართველ დიდოსტატს, მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესა და ამ ტიტულის პრეტენდენტ ნანა იოსელიანს შორის. ასპარეზობის მასპინძელია თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ქალაქის თავკაცების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებით გაართვეს თავი პრობლემებს და იდეალური პირობები შეუქმნეს როგორც მატჩის მონაწილეებსა და მსაჯთა ბრიგადას (მთავარი მსაჯი გახლავთ ჩეხოსლოვაკიელი იაროსლავ შაიტარი), აგრეთვე ჭადრაკის მრავალრიცხოვან გულშემატკივრებსაც.

ბუნებრივია, ამ დღეებში ჭადრაკის მოყვარულებთან ერთად თელავის ყოველდღიური სტუმარია მრავალი ჟურნალისტი და ფოტოკორესპონდენტიც. ვაქვეყნებთ **შელიქს ბრიმსკის** მიერ გადაღებულ ფოტობლოკს. ზევით, მარცხნივ — აშკარაა, რომ მაია ჩიბურდანიძეა და მის დისშვილს, ოსტატობის კანდიდატ სოფიკო ნიკოლაძეს შორის საუბარი არაპროფესიულ თემაზეა; მარჯვნივ — მომდევნო პარტიის დებიუტი და გეგმა დაზუსტებულია, რასაც უდავოდ მოწმობს ნანა იოსელიანისა და მიხი ერთ-ერთი მწვრთნელის ელიზბარ უბილავას ღიმილიანი სახეები; ქვევით — მომდინარეობს მორიგი პარტია.

გუშინ...

თელავში გაიმართა მაია ჩიბურდანიძისა და ნანა იოსელიანის მატჩის მერვე პარტია. თეთრებით თამაშობდა პრეტენდენტი. 37-ე სვლაზე მეტოქენი უაიშზე შეთანხმდნენ. 8 პარტიის შემდეგ წინაა მსოფლიოს ჩემპიონი — 4,5:3,5. მეცხრე პარტია რეგლამენტით უნდა გაიმართოს 13 ოქტომბერს.

სეულის დაუვიწყარი დღეები

ამ ორი დღის წინ სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი ნინო სალუქვაძე რედაქციაში გვეწვია. „ლელოს“ მკითხველი დაგვეთანხმება, ეს ნინოს პირველი სტუმრობა არ იყო ჩვენთან. ბოლო ოთხი წლის მანძილზე არაერთხელ დაგვიბეჭდავს წერილები მისი წარმატებების შესახებ. ჩვენი თხოვნით ზოგჯერ იგი სახაუბროდაც მოიცალიდა ხოლმე. ამ ხნის განმავლობაში ნინო გარეგნობით თუ შეიცვალა, და კიდევ იმით, რომ უფრო ღრმად სწვდება ჩატარებული ასპარეზობის ნიუანსებს. სხვა დანარჩენი — მშვიდი, მოკრძალებული ლაპარაკი, საქმის არსისა და არა საკუთარი თავის წარმოჩენის ხურვილი, უწინდებური დარჩა. ახლაც დინჯად, მშვიდად, თითქოს ჩვეულებრივ ამბებზე საუბრობსო, გვიყვება სეულის ასპარეზობის პერიპეტიებზე, იმ გზაზე, რომელმაც 19 წლის ქართველი ქალაშვილი ოლიმპიურ მწვერვალზე აიყვანა.

● ალბათ უკვე მობეზრებული გექნებათ ჟურნალისტებთან საუბარი. ოლიმპიური ჩემპიონი ხომ საყოველთაო ყურადღების ცენტრშია.

— სრულებითაც არა. თუ თბილისის აეროპორტში ხალხის დახვედრას არ მივიღებთ მხედველობაში, შინ წყნარად ვარ და მხოლოდ მილოცვებს ვიღებ, თუ სადმე გავედი. იქ, სეულშიც, თუმცა იყო დიდი პრეს-კონფერენცია, მაგრამ უცხოელი ჟურნალისტები საკმაოდ მარტივ კითხვებს მაძლევდნენ: ვინ ვარ, სად ვსწავლობ და ასე შემდეგ.

● ელოდით ასეთ შეხვედრას თბილისში დაბრუნებისას? და საერთოდ, ფიქრობთ თუ არა თქვენს გულშემატკივრებზე, რომლებიც საქართველოში ალბათ მრავალად უნდა გყავდეთ?

— ვიცოდი, რომ აუცილებლად დამხვდებოდნენ დედა და ნათესავები და იქნებ სხვებიც. ოლიმპიადამდე ვფიქრობდი, რა კარგი იქნება, საქართველოში მედალი რომ ჩამომატანინა, რამდენ ადამიანს გავახარებ-მეთქი. მაგრამ თვითონ შეჯიბრებაზე ამ ფიქრით რომ გამოვსულიყავი, მედალს ვერ ვიღებდი. ოლიმპიადა ძალიან დიდი, მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა და ამას უცბად იგრძნობ. მთავარი იყო, ყველაფერი დამეკვიწყებინა და მესროლა ისე, როგორც სხვა შეჯიბრებებზე. მამაც ამას მეუბნებოდა: შენი შედეგი აჩვენე და ყველაფერი კარგად იქნებაო.

● ჩვენ სეულიდან შეგვატყობინეს მხოლოდ ძირითადი სერიებისა და ფინალის შედეგები. იქნებ უფრო დაწვრილებით გვიამბოთ შეჯიბრების შესახებ, პირველ ყოვლისა, ცხადია, ტყვიის სროლას ვგულისხმობ, სადაც ჩემპიონი გახდით.

ნინო „ლელოს“ სტუმარია. ჯ. კასრაძის ფოტო.

— სეულის ტირს უკვე მიჩვეული ვიყავი — შარშან სწორედ იქ დავამყარე მსოფლიო რეკორდი. ახლაც თავიდან ყველაფერი რიგზე იყო: სამი სერია უშეცდომოდ ვისროლე, შემდეგი სამი კი — 49-49 ქულით დავამთავრე. 297 ქულა მრგვალ სამიზნეზე — ეს კარგი შედეგია, ოღონდ ბოლო სერიებში სროლა გამიჭირდა, უფრო სწორად, ყველას გაუჭირდა, ჩახჩახა მზე ჩავიდა და ცოტა დაბნელდა. ამ დროს კი რატომღაც ტყვია მუდამ დაბლა მიდის. მამაჩემის დარიგებაც მახსოვდა და სამიზნე მაღლა გადავიყვანე, შევნიშნე, ჩემმა მეტოქეებმა, ვინც ახლოს იყო, არ მომბაძეს...

● რატომ?,

— არ ვიცი, იქნებ დაავიწყდათ, ასეთი დაძაბული ბრძოლის დროს შეიძლება ყველაფრის აღქმის უნარი დაკარგო. ჩემი მეტოქეები გამოცდილი მსროლელები არიან, უკვე ათი-თხუთმეტი წელია ვარჯიშობენ. მაგრამ გადამწყვიტ წუ-

იხ. მე-3 გვ.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი წყალბურთში

უნივერსიტეტელთა გამარჯვებით

რესპუბლიკის საუკეთესო ათლეტები, სამწუხაროდ, თავს არიდებენ ხოლმე თავიანთი უმაღლესი სასწავლებლების სპორტული პრესტიჟის დაცვას, მაგრამ უკანასკნელ წლებში ეს არამც და არამც არ ითქმის თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის წევრებზე. ამ გუნდის წყალბურთელებს, რომლებიც თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები არიან, რესპუბლიკურ ჩემპიონატებში არაერთხელ დაუცავთ თავიანთი უმაღლესი სასწავლებლის ღირსება. გამონაკლისი არც წლევანდელი ჩემპიონატი იყო.

დინამოელებმა სანდრო ბითაძემ, დევი გვახარიამ, ირაკლი ლაპარტელიანმა და ვირლამ მაჭავარიანმა ნაკლებად გამოცდილი უნივერსიტეტელი წყალბურთელები აიყოლიეს და საქართველოს ჩემპიონები გახდნენ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თბილისის უნივერსიტეტი, მიუხედავად იმისა, რომ საცურაო აუზი არა აქვს, წყალბურთელებს დიდ ყურადღებას აქცევს. ნათქვამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ რესპუბლიკის ჩემპიონატში უნივერსიტეტს უკანასკნელ წლებში ორ-ორი გუნდი გამოჰყავს და პირველი გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძვის. იბრძვის და იმარჯვებს კიდეც. წლევანდელ ჩემპიონატში გუნდმა (მწვრთნელი იოსებ მაისურაძე) ყველა შეხვედრა მოიგო.

ამ ჩემპიონატში, რომელიც სამტურად ჩატარდა სოხუმში, ქუთაისსა და ბათუმში, რვა გუნდი მონაწილეობდა. უნივერსიტეტელთა ორი ნაკრების გარდა სარბიელზე გამოვიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ქუთაისის „ქიმიკოსის“, რუსთავის „ფოლადის“, სოხუმისა და ბათუმის „დინამოს“ გუნდები. კონკურსგარეშე ცდიდა ძალას თბილისის განათლების სამმართველოს წყალბურთელთა გუნდიც, რომლისთვისაც ეს ჩემპიონატი მომავალი შეჯიბრებებისთვის მოსამზადებელი სკოლა გახლდათ.

ჩემპიონატში მეორე ადგილი წილად ხვდა ქუთაისის „ქიმიკოსს“, რაც მისთვის უდავოდ დიდი წარმატებაა, მესამე პრიზიორები კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წყალბურთელები გახდნენ.

რა გვიჩვენა ჩემპიონატმა?

ამ კითხვაზე გვიპასუხა საქართველოს სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა წყალბურთში ჯიმშერ თორთლაძემ.

— თავისთავად ის ფაქტი, რომ სარბიელზე ყველამ გამოიყვანა გუნდი, ვისთანაც კი წყალბურთია დანერგილი, უმნიშვნელო არ გახლავთ. უნივერსიტეტელთა შემდეგ დიდ ქებას იმსახურებენ ქუთაისელები. ამ ჩემპიონატის აღმოჩენა იყო სწორედ ქუთაისელი წყალბურთელი რევაზ ჩომახიძე, რომელმაც სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა. რევაზი 15 წლისაა და უნივერსალური მოთამაშის თვისებები გამოავლინა. მომავლისთვის მისი დიდი იმედი გვაქვს. შეჯიბრებაზე ბოლო ადგილი სოხუმის „დინამომ“ დაიკავა. ამ გუნდისაგან მეტს არც ველოდით, რადგან სოხუმის აუზში ზამთრობით წყალი არ თბება. ასეთ პირობებში მათს ერთადერთ მწვრთნელს კონსტანტინე შავგენიას, ცხადია, წყალბურთელთა აღზრდა უჭირს, ამიტომაცაა, რომ სოხუმელები სკოლის დამთავრებისთანავე ემშვიდობებიან წყალბურთს. იგივე უნდა ითქვას ბათუმელებზეც. რაღა გასაკვირია, რომ სოხუმიდან და ბათუმიდან თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდში შეეკვება არ მოდის, ასე კი შორს ვერ წავალთ.

პროფკავშირთა საქართველო ნებაყოფლობითი ფიზიკურ-სპორტული საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო ამა წლის 15 ოქტომბერს ეტაპობს საბჭოს II პლენუმს.

პლენუმი ეძღვნება სპორტის შემდგომი განვითარების ამოცანებს და რესპუბლიკის სპორტულ მიღწევებში საზოგადოების წვლილის გაზრდის საკითხებს.

დასაწყისი 11 საათზე.

ᲥᲐᲛᲘ ᲤᲘᲥᲠᲘᲡᲐ, ᲥᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲡᲯᲘᲡᲐ

ᲛᲪᲘᲠᲔ ᲛᲝᲜᲐᲪᲝᲕᲐᲠᲘᲪ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲝᲗ

ᲡᲐᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲝᲪᲣᲠᲐᲕᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ წლევანდელ სეზონში ყველაზე მნიშვნელოვანი ასპარეზობები იყო ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები, სსრ კავშირის საზაფხულო ჩემპიონატი და სტუდენტთა საკავშირო უნივერსიადა. ყველა ამ შეჯიბრებაზე საქართველოს წარმომადგენლები, წინა ანალოგიურ ასპარეზობებთან შედარებით, დაწინაურდნენ. მაგალითად, ჭაბუკთა I თამაშებზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, გუნდურ პირველობაში, მხოლოდ მეთორმეტე ადგილი დაიკავეს. და ვერც პირად ასპარეზობაში გამოიჩინეს თავი. აქ ისინი უმედლოდ დარჩნენ. II საკავშირო თამაშებზე, რომელიც კუიბიშევში გაიმართა, გუნდურ პირველობაში სამი საფეხურით დავწინაურდით, პირად ასპარეზობაში კი თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ. ეს შეძლო მწვრთნელ ნ. მიქიაშვილის აღსაზრდელმა თბილისელმა ვადიკ სტეპანოვმა (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება), რომელმაც 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მეორე, ხოლო ამავე სახეობაში 400-მეტრიან დისტანციაზე მესამე ადგილი დაიკავა.

ამ შეჯიბრებაზე კიდევ რამდენიმე პერსპექტიული სპორტსმენის გამოსვლით საკმაოდ კმაყოფილნი დავრჩით. მათგან, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ანდრეი შჩუკინი, რომელმაც მეოთხე ადგილი დაიკავა და ავადმყოფობა რომ არა, მედალს უთუოდ მოიპოვებდა. სტეპანოვთან და შჩუკინთან ერთად ჩვენი გუნდის დაწინაურებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს არჩილ მეცხვარიშვილმა, შოთა დავითაიამ, ალექსანდრ კრიჟანოვსკიმ, გია ბახტაძემ, ანა ელიზბარაშვილმა და სოხუმელმა თემურ გუგუბერიძემ, რომელიც ნაკრებში ერთადერთი არათბილისელი სპორტსმენი იყო.

ეს მოცურავეები 15-16 წლიანების გუნდში მკვეთრად გამოხატული ლიდერები არიან.

ასეთი მოცურავეები გამოჩნდნენ 17-18 წლის სპორტსმენებს შორისაც, რომლებიც მოსკოვში სსრ კავშირის საზაფხულო ჩემპიონატში გამოდიოდნენ. აქ საქართველოს ნაკრებმა მეთერთმეტე ადგილი დაიკავა, რაც წინა წელთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯია.

რა თქმა უნდა, ეს იმდენად უმნიშვნელო დაწინაურებაა, რომ მასზე ყურადღების გამახვილება არა ღირს, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ჩემპიონატში ჩვენი გუნდი სრული შემადგენლობით არ გამოდიოდა. არა, იმისი თქმა სრულიადაც არ გვინდა, რომ მთლიანი გუნდი დიდ წარმატებას მიაღწევდა, მაგრამ უკეთესი შედეგი, ალბათ, მაინც გვექნებოდა. განსაკუთრებით გულდასაწყვეტია, რომ ორგანიზაციული საკითხების მოუგვარებლობის გამო შეჯიბრებას რამდენიმე ძლიერი მოცურავე გამოაკლდა.

თებერვლის შემდეგ ვერა და ვერ მოხერხდა ძალზე პერსპექტიული მოცურავის, სპორტის ოსტატ კახა პეტრიაშვილის შეკრებებზე გამოძახება. იგი საავადმყოფოსა სამხედრო სამსახურში გაწვევის შემდეგ წელიწადში მხოლოდ ორ-სამ თვეს თუ ვარჯიშობს. არადა, შეუფერხებელი ვარჯიშის შედეგად, ვფიქრობთ, მას საკმაოდ რთული ამოცანების გადაწყვეტა ძალუძს.

იმავე მიზეზის გამო საკავშირო ჩემპიონატში ვერ გამოვიდა ასევე ძლიერი მოცურავე, სპორტის ოსტატი ვალერი ერმოლაევი.

წლეულს უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებისთვის ემზადებოდა სპორტის ოსტატი ქეთინო ზინდრიშვილი და ამიტომ ჩემპიონატისთვის აღარ ეცალა.

და ბოლოს, ივნისში სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს კიდევ ერთი ძლიერი მოცურავე გიორგი დათეშიძე.

ყოველივე ამან, ბუნებრივია, ზაფხულის ჩემპიონატში ჩვენი მოცურავეების გამოსვლას თავისი დაღი დასვა.

რატომ ვამახვილებთ ყურადღებას ყოველივე ამაზე? საქმე ისაა, რომ ჩვენი მოცურავეთა გუნდის დღევანდელ ლიდერებსაც, ბუნებრივია, დღეს თუ არა ხვალ საბჭოთა არმიაში გაიწვევენ, სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადა კი ცხრა თვეს იქით აღარაა. მისთვის მთელი სერიოზულობით უნდა მოვემზადოთ და უნდა ვემზადოთ არა ერთი წლის განმავლობაში, არამედ დღეიდანვე.

რაკი ახლა ორგანიზაციულ საკითხებზე ვსაუბრობ, მინდა კიდევ ერთ საკითხს შევეხო.

შარშან სსრ კავშირის მოცურავეთა ნაკრებში მიიწვიეს თბილისელი სპორტის ოსტატი იგორ არტიომოვი. ნაკრების წევრებთან იგი ხანგრძლივად ვარჯიშობიდა. როცა თბილისს დაუბრუნდა, აღმოჩნდა, რომ მისი შედეგები იმდენად დაქვეითებულა, რომ საქართველოს ზამთრის ჩემპიონატზე გამარჯვებაც კი ვეღარ შესძლო. არტიომოვის შედეგების აშკარა დაქვეითება, უწინარეს ყოვლისა, იმით იყო გამოწვეული, რომ შეკრებაზე თავისი მწვრთნელი არ ახლდა. ბევრი მუშაობა გახდა საჭირო, რომ არტიომოვს თავისი სპორტული ფორმა აღედგინა და საქართველოს ზაფხულის ჩემპიონატში უკვე რესპუბლიკური რეკორდი (400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 4.38,12) დაამყარა.

წლევანდელი სეზონის აღმოჩენა უეჭველად თბილისელი სპორტის ოსტატი როლანდ ხვადაგიანი (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) იყო. წლეულს იგი ყველა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებიდან მედლით დაგვიბრუნდა. მან ზამთრისა და ზაფხულის საკავშირო პირველობებში, იუნიორთა შორის, ყველას აჯობა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, ხოლო 400-მეტრიან დისტანციაზე მეორე და მესამე ადგილები დაიკავა. ამას გარდა, ხვადაგიანმა სტუდენტთა საკავშირო უნივერსიადაზე, პროგრამის ინდივიდუალურ სახეობებში, ორი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა და ერთიც 4X200 მეტრზე ესტაფეტაში.

ჩვენმა სტუდენტებმა უნივერსიადაზე ოთხი მედალი მოიპოვეს და გუნდურ პირველობაში მეცხრე ადგილი დაიკავეს, რაც წინგადადგმული ორი ნაბიჯი აღმოჩნდა.

უნივერსიადაზე საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბმა 24 უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივს შორის მეცხრე ადგილი დაიკავა, რაც წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

წლევანდელი შედეგების მიხედვით ხვადაგიანი და არტიომოვი კვლავ საკავშირო ნაკრებში მიიწვიეს. იმისთვის, რომ მათი (და არა მხოლოდ მათი) შედეგები გაუმჯობესდეს, საჭიროა გავითვალისწინოთ ის შეცდომები, რომლებიც წლევანდელ სეზონში გვქონდა. მკითხველის ყურადღება ისევ და ისევ ორგანიზაციულ საკითხებზე გვინდა გავამახვილოთ.

წლეულს, ზამთრის საკავშირო ჩემპიონატზე, ჩვენი გუნდი მოსკოვში სტარტის დღეს ჩავიდა. მოცურავეები სასტუმროს ჰოლში მთელი 4-5 საათი ელოდნენ სამანდატო კომისიის გაკვლას, საკვებ-ბილეთების, სასტუმროში მიმართვების მიღებასა და დაბინავებას. ამ მომქანცველ ლოდინს ვარჯიში მოჰყვა და შეჯიბრების პირველ დღეს, ბუნებრივია, მათ ის შეგრძნებები, რისთვისაც მზად იყვნენ, ვერ აჩვენეს. ასეთივე სურათი გამეორდა საზაფხულო ჩემპიონატზეც. ვფიქრობთ, ეს ორგანიზაციული საკითხები ისე უნდა მოგვარდეს, როგორც, ვთქვათ, ლენინგრადელები ახერხებენ. მათი წარმომადგენლები გუნდის ჩასვლამდე ერთი დღით ადრე ეწვევიან ხოლმე შეჯიბრების მასპინძელ ქალაქს და ყველა ზემოხსენებულ საკითხებს აგვარებენ. ამის შედეგად სპორტსმენები ვაგზლიდან პირდაპირ მიდიან სასტუმროში, სადაც ყველაფერი მზად ხვდებათ.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც გვაწუხებს. ჩვენი გუნდის ბევრი ლიდერი, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ქალაქის ცენტრიდან ძალზე შორს ცხოვრობს, მაგალითად — გლდანში, თემქაზე, ვარკეთილის მასივში. მათ დილის 7 საათზე სავარჯიშოდ ვაკის საცურაო აუზში უხდებათ სიარული, მერე — სკოლა ან უმაღლესი სასწავლებელი, სადილი, შინ დაბრუნება და დაუსვენებლად საღამოს ვარჯიშზე გაქცევა. ფაქტიურად ისინი ყოველდღიურად 3-4 საათს გზაში კარგავენ. ასეთ პირობებში მაღალი კლასის სპორტსმენის გაზრდა, ვფიქრობთ, შეუძლებელია. და თუ ჩვენი მუშაობა დროზე არ გარდავქმენით, ალბათ იმასაც დავკარგავთ, რასაც წლეულს მივაღწიეთ.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲠᲔᲨᲔᲢᲜᲘᲐᲙᲘ,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ სპორტსმენი ჩვენში ყოველთვის ჯანსაღი ადამიანის ასოციაციას იწვევს. კარგი აღნაგობის მიღწევას ხომ გულმოდგინე ვარჯიში და რეჟიმის დაცვა უძღვის. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, სპორტული კარიერის შემდეგ, სხეულის ეს ჰარმონია თვალსა და ხელს შუა ქრება.

მისაბაძი ნაბიჯი გადადგა თბილისის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების გაერთიანებამ (თავმჯდომარე ავთანდილ გიორგობიანი) და საქართველოს პროფსაბჭოს სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს ჩოგბურთის მოედნების დირექციამ (დირექტორი ელგუჯა თვალჭრელიძე). მათი თაოსნობით ჩატარდა თბილისის ვეტერან ჩოგბურთელთა პირველობა. შეჯიბრებაში შესაბამისად 17 და 26 ვეტერანი ჩოგბურთელი ქალი და კაცი გამოვიდა. მათგან უმეტესობა შაბათ-კვირას ამავე ჩოგბურთის კორტებზე ვარჯიშობს.

ქალთა ტურნირში გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა წევრმა სამთო გამაჯანსაღებელ კომბინატის გუდაურის ეკონომისტმა, სპორტის ოსტატმა ადა პოღოსოვამ. კაცებს შორის პირველ ადგილზე გავიდა ნოვოსიბირსკის თბოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი, სპორტის ოსტატი დავით ვეზირიშვილი.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გავესაუბრეთ დავით ვეზირიშვილს:

— მადლობის მეტი არაფერი მეთქმის იმის გამო, რომ ვეტერანთა პირველობაზე მომიწვიეს. ასეთი შეჯიბრებები სპორტის ყველა სახეობაში უნდა იმართებოდეს. ნოვოსიბირსკის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის თბოფიზიკის ინსტიტუტში, სადაც მე ვმუშაობ, უმრავლესობა სპორტის სხვადასხვა სახეობას მისდევს. ესაა მიზეზი, რომ ზედმეტად მსუქან კაცს ვერ ნახავთ. ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა, აქვს ველოსიპედი, რომლითაც დადის სამსახურში, ქალაქგარეთ. მოგეხსენებათ, ციმბირში წლის უმეტესი პერიოდი თოვლიანია და ამის გამო თხილამურები ძალზე პოპულარულია. გულსატკენია, რომ საქართველოში ფიზკულტურას მოსახლეობის მხოლოდ უმცირესობა მისდევს, ისიც, რომ თბილისში ამდენი ჭარბწონიანი ადამიანი დადის.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი გიორგი ღარიბაშვილი:

— ვეტერანთა პირველობების გამართვის პიონერები არა ვართ. იგი კარგა ხანია ტარდება მოკავშირე რესპუბლიკებში. დღეს ეს შეჯიბრებები საკავშირო ტურნირებად იქცა. იგი ოთხ ასაკობრივ ჯგუფად ტარდება: 40-45, 45-55, 55-60 და 60 წლისა და უფროსი ასაკის ვეტერანებს შორის. ბოლო

ორ წელიწადში ტალინში და დნეპროპეტროვსკში გამართულ ტურნირში, 55-60 წლიანებს შორის, ზედიზედ გავიმარჯვე. სულ მალე მსგავსი საკავშირო შეჯიბრება ბათუმში და ფოთში გაიმართება. ვეტერანთა დღევანდელი შეჯიბრება ზემოთ აღნიშნულ ტურნირში მონაწილეთა შერჩევასაც ემსახურებოდა.

ისღა დაგვრჩენია წარმატება ვუსურვოთ ჩოგბურთის ვეტერანებს და სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებსაც მოვუწოდოთ ჩაატარონ მსგავსი შეჯიბრება.

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐ ᲞᲝᲦᲝᲡᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲕᲔᲖᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲘᲡᲐᲡ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ

ᲝᲜᲨᲘ ჩატარდა საქართველოს პირველობა 1972-1973 წლებში დაბადებულ თავისუფალი სტილით მჭიდავეთა შორის, რომელიც გორელ და თბილისელ ფალავანთა აშკარა უპირატესობით აღინიშნა.

ორიოდე თვის წინ ვწერდით ვარჯიშის იმ არახელსაყრელი პირობების შესახებ, რომელსაც იძულებით ეგუებიან გორელი მოჭიდავეები. მას შემდეგ მდგომარეობა იოტისოდენადაც არ შეცვლილა: პირობები კვლავინდებურია, მაგრამ, საბედნიეროდ, მაინც ძველებური მონდომებით მუშაობენ იქაური სპეციალისტები. ამ პირველობაზეც მათი ხუთი მოჭიდავე გახდა ჩემპიონი. ქალაქის შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელთა მისამართით ვამბობთ: აი, ამას ჰქვია „ეკონომია“: წარმატების მიღწევა ნაკლები დანახარჯებით. მაგრამ ვინ იცის, როდის გაუწყდებათ მოთმინების ძაფი გორელ მოჭიდავეებს და მათ მწვრთნელებს...

გაცნობებთ გამარჯვებულთა ვინაობას საქართველოს ჭაბუკთა პირველობაზე.

40 კგ. ივანე ყუშიტაშვილი (თბილისი, „შრომითი რეზერვები“). **43 კგ.** იური გაგლოშვილი (გორი, პროფკავშირები). **47 კგ.** მერაბ მიდელაშვილი (კასპი, პროფკავშირები). **51 კგ.** შოთა პოღოსიანი (გორი, პროფკავშირები). **55 კგ.** გიორგი ხაბელაშვილი (თბილისი, „შრომითი რეზერვები“). **60 კგ.** ზაზა ზოზიროვი **65 კგ.** იაკობ ავაზაშვილი. **70 კგ.** გარი მოდოსიანი (ყველა — გორი, პროფკავშირები), **76 კგ.** დავით ხაბელაშვილი (თბილისი, „შრომითი რეზერვები“). **83 კგ.** დიმიტრი აბრამაშვილი (თბილისი, „შრომითი რეზერვები“). **85 კგ.** ლევან ტაბატაძე (რუსთავი, პროფკავშირები). **+95 კგ** წონაში პირველი ადგილი არ გათამაშებულა. მე-2 ადგილები დაიკავეს ლაშა ლომიძემ და დურმიშხან ვაზაგოვმა (ორივე — თბილისი, „შრომითი რეზერვები“).

ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲫᲔ.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ

ᲣᲙᲣᲕᲐᲒᲓᲝᲛ

მეორე დღეს „მოსკოვსკაია პრავდა“ წერდა, მოსკოველი მაყურებელი ძალზე განაწყენდა ბელოვის არაობიექტური მსჯობით და თამაში გაპროტესტებულიაო. პროტესტის მიზეზად ასახელებდნენ ტორპედოელთა კარში მეორე ბურთის თამაშგარე მდგომარეობიდან გატანას, თუმცა ბურთი ყველა წესის დაცვით გავიდა. გარდა ამისა, მაშინაც და ახლაც, თამაშგარე მდგომარეობიდან ბურთის გატანა არ ექვემდებარება გაპროტესტებას.

თბილისელები გააფრთხილეს, არსად წასვიდეთ, ზეგ გადათამაშებაა. მსაჯად ლატიშევი დაინიშნა. ყველას გასაკვირად, თამაშის წინა დღეს ლატიშევი დინამოელებს ესტუმრა, ღოღობერიძე და ჭკუასელი გაიხმო და იქედნური ღიმილით მიმართა მათ: „ავთო და ავთო! ახლა ნუ ჩამეძიებით, რატომ გეუბნებით ამას; თამაშის ბედი გადაწყვეტილია და ნუ იბობოქრებთ!“

დაიწყო გაპროტესტებული მატჩი და დახეთ უბედურებას: თბილისელებმა ბურთი გაიტანეს. აი, მაშინ მოხდა, რაც მოხდა. დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, მსაჯმა ლატიშევმა ირულიად უმიზეზოდ მინდვრიდან გააძევა მახარაძე, ცოტა ხანში კი თოდრიაც ზედ მიაყოლა. არ გასულა 5 წუთი. და ახლა გაგნიძეს ამოუგდეს მხარი. ტკივილით სახემოღრეცილი ფეხბურთელი საკაცით წაიყვანეს გასახდელში. მაყურებელმა კი სტვენითა და ბილწსიტყვაობის კორიანტელით გაიცილა იგი. მისმა უხეშმა მეტოქემ ისე გაგრძელა თამაში, მსაჯი მისთვის სიტყვიერი გაფრთხილებაც არ მიუცია. მინდორზე, ფაქტიურად, 8 თბილისელი დარჩა, რომელთაგან რამდენიმე აშკარად კოჭლობდა, მაგრამ მინდორს ვერ ტოვებდნენ თამაშის თვითნებური შეწყვეტის სანქციის შიშით.

„დინამომ“ თამაში წააგო (1:4) და პირველ ადგილზე მოსკოვის „სპარტაკი“ გავიდა.

ახლა, როცა საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პოზიციებიდან ვაანალიზებთ 35 წლის წინათ მომხდარ ამ ამბავს, დანაშაებით უნდა შევნიშნო, რომ მაშინ ჩვენს ეროვნულ პოლიტიკას საკმაო ბზარი გაუჩნდა — სპორტულ სარბიელზე მომხდარი უსამართლობა ხომ ფართო რეზონანსს იწვევს. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ბურჟუაზიულმა პრესამ არ დააყოვნა და თავისებურად გააშუქა ეს ფაქტი (რას ვერჩით, მათ სალაპარაკო ხომ თვითონ გვიუჩინეთ).

ამაზრზენი ფაქტიაო, იტყვის ალბათ მკითხველი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იმასაც დასძენს, რომ ასლაც, ცხადია, იმ თავხედობა-თამაშკარავით არა, მაგრამ აქა-იქ მაინც იგრძნობა მსგავსი ნიუანსებიო. ამას ყველაზე კარგად გრძნობენ ჩვენი მწვრთნელები, რომელთა აღზრდილებს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მონაცემები აქვთ ოლიმპიურ გუნდში ან მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატებზე გამოსასვლელ კოლექტივებში ჩასარიცხად, მაინც ეხშობათ წინსვლის გზა. ვესაუბრე ჩვენს მწვრთნელებს. ბევრი. მათგანი გამოსთქვამს ამ პრეტენზიას. შეიძლება ზოგს არ დაეთანხმო, მაგრამ ზოგ მათგანს აშკარად ზღუდავს საკავშირო სპორტკომიტეტი.

ეს პრობლემა უშუალოდაა დაკავშირებული ჩვენს ეროვნულ პოლიტიკასთან და მასზე მსჯელობა ახლა, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტი სპეციალურად იწვევს პლენუმს აღნიშნულ საკითხზე, სასარგებლო საქმეა. ნუ შეგვაშფოთებს ფაქტების სიმკაცრე, სჯარიობა მარტო ცენტრალური პრესის ტვირთი როდია, მას ადგილობრივმა გაზეთებმაც უნდა გაუსწორონ თვალი, თუმცა მათ დიდი გულისყურის გამოჩენაც მართებთ იმისათვის, რომ არ მოექცნენ ზოგიერთი ვაიეურნალისტის გავლენის ქვეშ და ფაქტების განსაცვიფრებელი დამახინჯებით ნერვები არ დაწყვიტონ საქმის კურსში მყოფ მკითხველს. შეუძლებელია, მაგალითად, აღშფოთება დაფაროს ადამიანმა, როცა ჟურნალ „იუნოსტში“ (1988, № 8) წაიკითხავს ს. ტოკარევისა და ა. გორბუნოვის წერილს „იყო გუნდი ცდა“. ავტორთა მტკიცებით, 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადაზე ჩვენმა ფეხბურთელებმა დამატებითი მატჩი იუგოსლავიელ ფეხბურთელებთან წაგვეს არა იმიტომ, რომ მწვრთნელებმა არკადიევმა და იაკუშინმა სერიოზული შეცდომები დაუშვეს, არც იმის გამო, რომ განმეორებითი მატჩის გადამწყვეტ მომენტში ნიკოლაევმა და ბესკოვმა ვერ ივარგეს ისეთ ხელსაყრელ მდგომარეობაში, „როცა შეუძლებელი იყო არ გაეტანათ გოლი“; ნურას უკაცრავად, ჩვენი გუნდის ფიასკოს უმთავრესი მიზეზი... თბილისის დინამოელი ა. ჭკუასელი ყოფილა. მას საერთაშო-

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 195.

სეულის დაუვიწყარი დღეები

(დასასრული)

თებში გონება, ფსიქოლოგია უნდა დაიხმარო, იმდენად იძაბები, რომ შეჯიბრების შემდეგ საშინელ დაღლილობას გრძნობ, თითქოს მთელი ვაგონი გადმოგეტვირთოს.

● ადრე გითქვამთ, წესად არა მაქვს მეტოქეების შედეგებს თვალი ვადევნოო.

— მართალია, მამაც და მეც ვთვლით, რომ ამან შეიძლება ხელი შემიშალოს და, სანამ შეჯიბრება არ დამთავრდება, ტაბლოს არ ვეკარები... არ ვიცოდი, თუ მრგვალ სამიზნეზე სროლის შემდეგ ერთ ქულას ვუგებდი იუგოსლავიელ სეკარიჩსა და ერთ შვედ სპორტსმენს. შემდეგ ცუდად ვისროლე სილუეტზე — მხოლოდ 294 ქულა მოვაგროვე. არ ვიცი, რა დამემართა. სილუეტზე სროლა ძალიან მიყვარს და ერთხელ მაქსიმუმი — 300 ქულაც დავაგროვე. იქ კი სეკარიჩმა გამისწრო. ეს უკვე გავიგე — ფინალში ლიდერს მუდამ მეოთხე დაფასთან აყენებენ. მე მის გვერდით მიმიჩინეს ადგილი. ფინალში ყველა შედეგს აცხადებენ, მაგრამ მე ყურები დავიხშე, მხოლოდ ჩემს სამიზნეს ვხედავდი. ჯერ 50 ქულა მოვაგროვე, ბოლო სერიაში — 49. მაინც არაფერი ვიცოდი. მაგრამ უცებ ჟიურის წევრებმა მომილოცეს, შემდეგ სპორტსმენებმა. მაინც არ მჯეროდა თუ ოლიმპიური ჩემპიონი ვიყავი. გარეთ გამოვედი, მამაჩემი ტრიბუნაზე, ხალხში იჯდა და უცებ ვერც დავინახე, როცა მომეხვია, მახსოვს, მითხრა: ეს ჩემი ოცნება იყოო. ეს ოცნება ალბათ იქიდან გამოჰყვა, ტოკიოს ოლიმპიადაზე რომ არ წაიყვანეს... თანდათან დავრწმუნდი ჩემს გამარჯვებაში და ესეც კი ვიფიქრე: ახლა აღარაფერზე ვინაღვლებ–მეთქი.

● მეორე სახეობაში — პნევმატური პისტოლეტის სროლაში — თითქოს აღარ უნდა გაგძნელებოდათ გამოსვლა. უკვე ოლიმპიური ჩემპიონი იყავით და ფსიქოლოგიური ტვირთი ალბათ მოშორებული გქონდათ.

— არა, ოლიმპიური შეჯიბრება ოლიმპიური შეჯიბრებაა და მეორე გამარჯვებაც ისევე სასიხარულო იქნებოდა, როგორც პირველი. მამამ კი მითხრა, ახლა შეგიძლია მშვიდად იყო და შენი შედეგი აჩვენეო, მაგრამ სინამდვილეში ალბათ ორივენი სხვას ვფიქრობდით.

ჩემს შედეგს თვალყურს კი ვადევნებ, მაგრამ ტაშმაც მიმახვედრა, რომ საქმე ამ სახეობაშიც კარგად მიდიოდა. საერთოდ, ვიდრე სროლა არ დამთავრდება, ტირში ტაშის დაკვრა აკრძალულია, მაგრამ თურმე მსოფლიო რეკორდი (390 ქულა) დამიმყარებია და მსაჯებმაც კი ვერ შეიკავეს თავი. ამან ჩემზეც იმოქმედა, ამასთან სამუდამო რეკორდის მფლობელი ვხდებოდი. ახალი წლიდან სამიზნის ზომებს ამცირებენ და ძველ მიღწევებს აღარაფერი შეცვლის. იქვე ერთი შეცდომაც დავუშვი: ჩვეულების საპირისპიროდ, ჩემი მთავარი მეტოქის, იუგოსლავიელი იანნა სეკარიჩის შედეგით დაინტერესდი. გავიგე, ერთი ქულით ჩამომრჩებოდა და დაძაბული ბრძოლისათვის მოვემზადე. არ შეიძლება ფინალში ბრძოლისათვის ემზადო, უნდა ისროლო შენი შედეგის მისაღწევად და მორჩა... ამიტომ ფინალში ძალზე ვღელავდი და ტყვია რამდენჯერმე ასცდა ათიანს. ბოლოს შეიძლებოდა უკეთესად სროლა, მაგრამ სეკარიჩის დაწევის იმედი უკვე აღარ მქონდა, არადა თურმე მხოლოდ ერთ ქულასლა მიგებდა... მერე, რომ დავფიქრდი, ძალიან დამწყდა გული. ვიტირე კიდეც...



მამა და შვილი — მწვრთნელი და მოწაფე: ისახება ახალი ამოცანები.

ალექსანდრე სააკოვის ფოტო.

● ტელევიზიით აჩვენეს იანნა სეკარიჩის ბოლო გასროლა, რომლის შემდეგაც იგი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ისე დაღლილი ჩანდა, სიხარულის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა.

— სეკარიჩს ფინალში მუდამ ვუგებდი, მხოლოდ სეულში მოხდა პირიქით. სიმართლე რომ ითქვას, იგი სწორედ პნევმატური პისტოლეტის სროლაშია ძლიერი, მე კი ტყვიის სროლა მირჩევნია. ჩვენი მეტოქეობა კარგა ხანია გრძელდება. პირველად სამი წლის წინ მოვუგე, მისსავე სასროლეთზე, თან სწორედ მისი ქორწილის დღეს. ეს იუგოსლავიაში იყო, ევროპის იუნიორთა ჩემპიონატზე.

● რამდენად განსხვავდებოდა ოლიმპიური ახპარეზობის ატმოსფერო სხვა შეჯიბრებებისაგან?

— ეს იყო დაუვიწყარი, ბედნიერი დღეები და მინდოდა ასპარეზობა რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო. ჩვენ, მსროლელები, ალბათ ჩვენი სახეობის შედარებით ნაკლები პოპულარობის გამო, ყურადღებით არა ვართ განებივრებული. იქ კი ყველა ოლიმპიელი თანაბარი იყო, ყველა კეთილმოსურნეობას იჩენდა, მოკლედ, სეულში საკვირველი, მეგობრული ატმოსფერო სუფევდა. საქართველოს ოლიმპიელები ერთ სახლში ვცხოვრობდით, ვხვდებოდით ერთმანეთს, წარმატებებს ვულოცავდით.

● როგორც ვიცი, ოლიმპიურ ჩემპიონებს ნება ეძლეოდათ, სეულში თამაშების ბოლომდე დარჩენილიყვნენ. თქვენ რატომ გამოემგზავრეთ ადრე?

— ეს ჩვენი, ტყვიის მსროლელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის სურვილით მოხდა. მიზეზად მან იარაღის შენახვის პრობლემები დასახელა.

● სხვა ჩვენი ოლიმპიელების გამოსვლა თუ ნახეთ?

— ეს არც ისე იოლი იყო. უშუალოდ შეჯიბრებაზე დასწრებას ნებართვის აღებას ორი დღე სჭირდებოდა, ტელევიზიით ძირითადად სამხრეთკორეელი სპორტსმენების გამოსვლას ჩვენებდნენ. მხოლოდ დასკვნითსა და ბოლოთა — ტენტერში დიდ ეკრანებზე სახავდით სხვა შეჯიბრებებსაც. [illegible] ათასი [illegible] ბონი. ასე რომ, მოწყენით ვერ მოიწყენდი.

● დედას ალბათ ყველაფერი აინტერესებს თქვენი შეჯიბრების შესახებ.

— მართლაც ასეა. შინ დაბრუნებისთანავე მას დაწვრილებით, ისევე როგორც თქვენთან ვყვები, ვუამბე შეჯიბრების ყველა წვრილმანზე. ადრე, როდესაც მამა გამოდიოდა შეჯიბრებებში, ასე კარგად არ ესმოდა სროლა. მას შემდეგ, რაც მე დავიწყე ვარჯიში, ცდილობს სროლის ნიუანსებში გარკვევას და ახლა მასთან ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი, ყველაფერს გაიგებს.

● ოლიმპიური ჩემპიონობა სპორტსმენის ყველაზე დიდი მიზანია. ცოტა ხომ არ გაგინელდათ ინტერესი სროლის მიმართ?

— არა, არ გამნელებია, ჯერჯერობით სიამოვნებით დავდივარ სავარჯიშოდ. თუმცა ახლა იქნებ ცოტა მეტი დრო გამოვნახო, ასე ვთქვათ, პირადი ცხოვრებისათვის. აქამდე იყო მხოლოდ ოლიმპიადა და მეტი არაფერი. სტუდენტური ცხოვრება, ეს ბედნიერი ხანა, ჯერჯერობით ჩემთვის უცნობია.

რაც შეეხება სპორტულ შედეგებს, ვიცი, კვლავაც დიდი შრომაა საჭირო. მამა ხომ გვერდით მყავს. ის ადრეც, ათასი მაგალითით მიმტკიცებდა, რომ სპორტსმენი მუდამ წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ უნდა იყურებოდეს... ერთ კვირაში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მივდივარ მსოფლიო თასის გათამაშებაზე...

ესაუბრა **გიორგი ჩოჩიშვილი.**

ძველი სტერეოტიპები!

რისო შეხვედრების გამოცდილება არ გააჩნდაო, გვარწმუნებენ ავტორები. რაც მთავარია, არ იცოდა რუსული, რის გამოც ვერ ახერხებდა მწვრთნელების მითითებების შერსულებას მინდორზე. იაკუშინმა თურმე გვერდით მოისვა ანთაძე და ბაკურიანის ცეკას წარმომადგენელი გრიგორიანი, რომლებსაც საჭირო მითითებებს აძლევდა, ეს უკანასკნელნი კი იაკუშინის ნათქვამს სწრაფად თარგმნიდნენ ქართულად და უყვიროდნენ „საბრალო ჭკუასელს, რომელიც, ამის მიუხედავად, მაინც უმისამართოდ დარბოდა და პასს აძლევდა იქით, საითაც საჭირო არ იყო... მის ფლანგზე უნიჭობა მეფობდა და გუნდი ფაქტიურად ათი კაცით თამაშობდა“. ხედავთ თურმე რა ყოფილა?! თბილისში გაზრდილმა ახალგაზრდამ, რომელმაც თანაგუნდელებთან ერთად რამდენჯერმე მოიარა საბჭოთა კავშირის ქალაქები და უცხოეთში ნამყოფიც გახლდათ, თურმე არ იცოდა როგორ გამოთქმოდა რუსულად „წინ“, „პასი მიეცი“ და სხვა მისთანანი. გუნდი ფაქტიურად ათი კაცით თამაშობდაო — ამას ამბობენ იმ ფეხბურთელის გასამტყუნებლად, რომელიც თავდადებული თამაშის გამო ბობროვთან და ნეტოსთან ერთად „ხელუნლებელი“ დატოვეს, დანარჩენებს კი, როგორც ცნობილია, ყველა სპორტული წოდება ჩამოართვეს. ახლა არ იკითხავთ, ეს „სუსტი“ ფეხბურთელი რა გზით მოხვედრილა ოლიმპიურ ნაკრებში? ჭკუასელი ხომ დინამოელი და ამასთან ქართველი იყო, მისი, როგორც დინამოელის, დაწინაურებით ბერია ყოფილა დაინტერესებული, ქართველობით კი სტალინიო. საბუთი? საბუთი, ცხადია, არ არსებობს, მაგრამ ეს გარემოება, ცენტრალური პრესის ბევრი ავტორის მსგავსად, არც ზემოხსენებული სტატიის ავტორებს აწუხებთ.

ცხადია, ფაქტების ასეთი უკუღმართი ინტერპრეტაცია აღიზიანებს მკითხველს, და, რაც მთავარია, ჩრდილს აყენებს ჩვენი ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის საქმეს!

პირადი მაგალითის ძალა

„ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საუკეთესო ფორმად მიჩნეულ იქნას ხელმძღვანელების, ფიზკულტურისა და სპორტის ორგანიზაციების მუშაკთა მონაწილეობა მასობრივ ფიზკულტურულ ღონისძიებებში“ — ვკითხულობთ დადგენილებაში. ვნიშობ, რომ დადგენილების ეს სასიკეთო რჩევა კვლავ დარჩება „ხმად მღაღადებლისა...“ არა, დადგენილების ჭვირფასი ავტორებო! უწინდელივით, ვერც ახლა იწილავთ პარტიული თუ საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებს სპორტულ მოედნებზე და ტურისტულ ბილიკებზე (უკეთეს შემთხვევაში, ზოგი მათგანი აუწს თუ მიაკითხავს, ისიც დილაადრიან, როცა იქ არავინაა), არადა, მათი გამოჩენა სპორტულ ბაზებზე, იქ, სადაც მრავალი ახალგაზრდა იკრიბება, ყველზე ცოცხალ, ქმედით პროპაგანდას გაუწევს ფიზკულტურასა და სპორტს. როგორც საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი, ხშირად ვწვევივარ მინისტრთა საბჭოს, წამიკითხავს ლექციები სამინისტროებში, სამმართველოებში, სახელმწიფო კომიტეტებში, გავცნობივარ ამ დაწესებულებების მუშაკთა სავარჯიშო პირობებს და გაოცებული დავრჩენილვარ; ერთი მცირე სავარჯიშო დარბაზიც კი არ მინახავს.

ერთი ცუდი პირადი მაგალითის შესახებაც მინდა მოგახსენოთ: ამასწინათ საკავშირო ტელევიზიის „საფეხბურთო მიმოხილვაში“ ლაპარაკი იყო სტადიონებზე გამოყოფილი ლოჟების შესახებ, სადაც ყოველგვარი საფასურის გარეშე ეთმობათ ადგილი მაღალი სამსახურებრივი მდგომარეობის პირებს. გადაცემაში დასმული იყო საკითხი ამ პრივილეგიის გაუქმების შესახებ. განა ჩვენშიც ივივე არ ხდება? წმინდა წყლის პარადოქსია: მინისტრი და მისი მოადგილე სპეციალური საშვით უფასოდ შედიან სტადიონზე, მოსწავლეები და სტუდენტები კი ბილეთს იძენენ. სპორტულ სფეროში გარდაქმნა ლიტონ სიტყვად რომ არ დარჩეს, უნდა დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ კეთილი ვინებოთ, ჩვენი ფეხით მივიდეთ სალაროში, ავიღოთ ბილეთი და დავსხდეთ ტრიბუნებზე, იქ, სადაც „ჩვეულებრივი“ საბჭოთა მოქალაქეები სხედან.

თუ მკითხავთ, როცა პირად მაგალითზეა ლაპარაკი, ლექციაზე არ შევუშვებდი ისეთ სპორტის პროპაგანდისტს, რომელიც თავად არ ვარჯიშობს, არ გამოიყურება მხნედ და სპორტულად. განა მოსაწონია? ლექტორი კითხულობს ლექციას ფიზიკური ვარჯიშის სიკეთეზე, თვითონ კი კურატივით ჩასუქებულა და თავისი გარეგნობით სპორტის ნამდვილ ანტიპროპაგანდას ეწევა. ასევე მოვექცეოდი სპორტული პრესის, რადიოსა თუ ტელევიზიის კორესპონდენტებს, რომლებიც სპორტულ კოლექტივებში ტრიალებენ, იღებენ ინტერვიუს, მოუწოდებენ ფიზიკური აქტიურობისკენ, თვითონ კი ხელის განძრევა ეზარებათ.

მოგვაწოდეთ სწორი ინფორმაცია!

პრესა, რადიო, ტელევიზია მასობრივი ფიზიკური კულტურის პროპაგანდის წინა ხაზზე უნდა იყოს — ასეთია ზემოხსენებული დადგენილების აზრი. იმ დიდ სამუშაოს, რასაც ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ეწევიან, საგუნაროდ, ზოგჯერ ხარვეზებიც ახლავს, ხან—ერთი, ხან—საკმაოდ სერიოზული. ორიოდ სიტყვით მათ შესახებ. ჩვენი ტელევიზიის სპორტული განყოფილება ყველა გადაცემას იმ დონეზე რომ აიყვანდეს, როგორიცაა „ბსოფლიოს სტადიონებზე“ (რომელსაც ჟურნალისტი დ. ქლიბაძე უძღვება), როგორც იტყვიან, ჩვენი საქმე დამში მოვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი ტელეფილმებისა და, საერთოდ, დოკუმენტური ფილმების სტუდიის ნაწარმოებთა შესახებ. სამწუხაროდ, ამ ფილმებში ზოგჯერ ისეთ შეცდომებს ვაწყდებით, რომლებიც ხელს არ უწყობს სპორტის პროპაგანდას. ავიღოთ ტელეფილმი „სტადიონი“, რომელიც საინტერესოდ კია გადაღებული და, თუ არ ვცდები, პრემიერებულია კიდეც, მაგრამ აი, იწყება ინტერვიუ ცნობილ მოქალაქეებთან და ფილმის აქციები ეცემა. ეკრანზე მთელი სახით გამოჩნდება ოთარ ლითანიშვილი და სავსებით სერიოზულად აცხადებს — „ვინც სტადიონზე არ დადის, ის კაცი არ არის“. დავესწარი ამ ფილმის განხილვას, სხვებთან ერთად მეც მოვიწონე ფილმი, მაგრამ ავტორს ვურჩიე, ამოეღო ეს ადგილი. რატომ? ჩვენი ერის რამდენი სასახელო შვილი ვიცი — გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანები — რომლებიც სტადიონზე არ დადიან. რა ვქნათ, არაკაცები ვუწოდოთ მათ? მაშ, ეს ერის კაცები არაკაცები არიან და სტადიონზე მოსული ზოგიერთი უსაქმური და ვიგინდარა (ესენიც ხომ დადიან სტადიონზე?) — კაცია? სამწუხაროდ, ფილმის ავტორებმა ხელუხლებელი დატოვეს ეს ადგილი, არადა, სპორტი ასეთ მკრეხელურ პროპაგანდას არ საჭიროებს.

რაც შეეხება პრესას, მისი როლი სპორტის პროპაგანდის საქმეში ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ ერთი რამ მაინც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს. ვერცერთი გაზეთისა თუ ჟურნალის რედაქცია ვერ დაიტრაბახებს, შეცდომებს არ ვუშვებთო. ეს, იქნებ, გარდუვალიცაა, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ზოგ შეცდომას პრინციპული ხასიათი აქვს და ავევდარევა შეაქვს სპორტის როლის სწორად გაგებაში. სულ უბრალო მაგალითი: აი ჩემს წინაა ჟურნალი „ოგონიოკი“ (1988, № 34), რომლის ბოლო გვერდზე მოთავსებულია კროსვორდი. აქ ერთი ასეთი კითხვაა: „**физкультурница**“, ე. ი. უნდა მიაგნო სიტყვას, რომელიც ფიზკულტურელი ქალის ზუსტი სინონიმი იქნება. მე ვერ მივაგენი პასუხს და აი, მომდევნო ნომერში გვიხსნიან, რომ თურმე ეს სინონიმი „**спортсменка**“ ყოფილა. დილეტანტისთვის (როგორც ჩანს, ამ კროსვორდის შემდგენელი სპორტში ნამდვილად დილეტანტია) ეს შეიძლება შეცდომა არ იყოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდა სპეციალური ცნებების ზუსტ განსაზღვრას საჭიროებს, ზემოხსენებული შეცდომა „ოგონიოკის“ დონის ჟურნალს არ უნდა მოსვლოდა.

ერთი შენიშვნაც: ალბათ, დროა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უფრო ღრმად ჩასწვდეს ფიზკულტურისა და სპორტის მიმართ ინტერესის საოცარი დაქვეითების მიზეზებს, თამამად იმსჯელოს ამ ვითარების სოციალურ შედეგებზე. რას ვგულისხმობთ? აი, მაგალითად, ლექტორი შედის მშობელთა აუდიტორიაში და ესაუბრება მათ ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეზე ბავშვთა აღზრდის საქმეში. მთავრდება ლექცია და დაღვრემილი მშობლების ერთი ნაწილი გულმოკლული მოგვმართავს: „რასაც თქვენ ამბობთ, ბატონო, სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ როდის წავიყვანოთ ჩვენი პატარები სავარჯიშოდ ან სასეირნოდ, როცა დილიდან საღამომდე სამსახურში ვართ. სამსახურის შემდეგ კი უნდა ვეძებოთ ხორცი, კარტოფილი, სხვა პროდუქტები, მერე ვამზადოთ სადილი, რომელიც ვახშმად გვექცევა ხოლმე და ამასობაში ღამდება კიდეც!“ მესმის, რომ ბევრი მშობელი აზვიადებს (ხომ გაგიგონიათ — თუ გული გულობსო), მაგრამ განა ეს პრობლემა ღრმად ჩაწვდომასა და განზოგადებას არ იმსახურებს?

ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში ფიზკულტურისა და სპორტის როლის ასამაღლებლად მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პირდაპირი მოვალეობაა მოწინავე ქვეყნების გამოცდილების პროპაგანდა. რატომ არ შეიძლება, რომ ზოგიერთ წამყვან საწარმოში, ამ ქვეყნების მაგალითის მიხედვით, ყოველ თვის ან წლის ბოლოს დაჯილდოვდეს მუშა ან მოსამსახურე, რომელსაც არ ექნება არცერთი გაცდენა ავადმყოფობის გამო? ხომ შეიძლება დავნერგოთ ასეთი სიახლეც (რაც კარგა ხანია შემოიღეს სხვა ქვეყნებში): თუ წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში გარკვეულწილად შეიზღუდა სუსტი ფიზიკური მომზადების მქონე აბიტურიენტების მიღება, რატომ უნდა მივიღოთ ქარხანაში სამუშაოდ ის პიროვნება, რომელიც ვერ ჩააბარებს ფიზკულტურულ ნორმატივებს. ეს განსაკუთრებით ეხება მათ, ვისაც ფიზიკურ სამუშაოსთან აქვს საქმე (იაპონიის ქალაქ საპოროში, მაგალითად, სამუშაოზე არ იღებენ მას, ვინც თხილამურებზე სიარული არ იცის, ზოგ ქვეყანაში კი მუშას ყოველწლიურად ცდიან ფიზიკურ მომზადებაში და თუ ვერ ჩააბარებს ნორმატივებს, სამუშაოდან ითხოვენ). ცხადია, მსგავსი ღონისძიებების გატარება მკვეთრად აამაღლებს ჩვენში ფიზკულტურისა და სპორტის ავტორიტეტს.

დაბოლოს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მანამდე არ უნდა აძლევდნენ მოსვენებას დადგენილების მიმღებებსა და მის უშუალო შემსრულებლებს, სანამ მიზანდასახულებანი სისრულეში არ იქნება მოყვანილი. ავიღოთ თუნდაც ჩვენს მიერ დასახელებული ეს ბოლო დადგენილება. განა მასში არ არის ისეთი მითითებანი, რომელთა შესრულებაც აქედანვე საეჭვოა? აი, დამახასიათებელი ადგილი დადგენილებიდან: „პოპულარიზაცია გაწეროს სპორტის მასობრივ ტექნიკურ და სამხედრო-გამოყენებითს სახეობებს“. ეგოგზსენებთ, სამხედრო-გამოყენებით სახეობათა შორის ყველაზე ვაჟკაცური საპარაშუტო სპორტია. 40-იან წლებში მარტო თბილისში რვა თუ ათი საპარაშუტო კოშკი იდგა, დღეს კი რესპუბლიკაში ასეთი მოქმედი კოშკი არ არის და არც არავინ ფიქრობს ამ საკითხის მოგვარებაზე. საკითხავია, ასეთ სიტუაციაში შესაძლებელია ზემოხსენებული მითითების სრული განხორციელება? აი, ინფორმაციის საშუალებათა სისტემატური დაინტერესება და კონტროლი ვი აიძულებს დადგენილების ავტორებს და უშუალო შემსრულებლებს ეს მითითება უსაგნო ლოზუნგად არ დარჩეს.

მისასალმებელია „ლელოს“ ინიციატივა — გაზეთმა **უკვე წამოიწყო ზემოაღნიშნული დადგენილების პრობლემებზე მსჯელობა; იმედია ამ საკითხებზე კიდევ მრავალი მასალა გამოქვეყნდება.**

აგთანდილ ციბაძე.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 25-ე ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

თბილისის დინამოელები მინსკში შეხვდნენ ადგილობრივ თანაკლუბელებს.

თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

გუშინდელი ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები:

„მეტალისტი“ — „შახტიორი“ 1:2
„დინამო“ კ. — „დნეპრი“ 2:0
„კაირატი“ — „ჩერნომორეცი“ 1:1
„ძალგირისი“ — „არარატი“ 1:0
„ზენიტი“ — „დინამო“ მ. 0:1
„ნეფტჩი“ — „ლოკომოტივი“ 1:1
„ტორპედო“ — „სპარტაკი“ 2:0

ამასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვის „ტორპედოს“ 5 ფეხბურთელი სსრ კავშირის სხვადასხვა ნაკრებ გუნდში გამოდის, მოსკოვის „ტორპედოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მატჩი 16 ოქტომბრიდან გადატანილია 26 ოქტომბრისთვის.

II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXVIII ტურის შეხვედრები: „მეტალურგი“ (რუსთავი) — „დილა“ (გორი) 2:0, „გოიაზანი“ (ყაზახი) — „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) 2:0, „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „სოკოლი“ (სარატოვი) 3:0, „დინამო“ (მახაჩყალა) — „ბაკინეცი“ (ბაქო) 5:0, „თერგი“ (გროზნო) — „ხაზარი“ (სუმგაითი) 1:0, „ტორპედო“ (ვოლესკი) — „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) 1:0, „ატომმაში“ (ზოლგოდონსკი) — „შევარდენი“-სპი (თბილისი) 2:0.

გათამაშების ცხრილი

IX ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპ.“ ქ.	28	22	4	2	65-19	48
„ქიაფაზი“	28	20	2	6	78-26	42
„მეტალურ.“	28	19	4	5	62-27	42
„სოკოლი“	27	16	4	7	61-38	36
„გოიაზანი“	28	15	5	8	46-34	35
„დინამო“	28	12	5	11	42-35	29
„ატომმაში“	28	11	7	10	40-38	29
„ტექსტილ.“	27	11	6	10	42-33	28
„დილა“	28	11	4	13	43-51	26
„თერგი“	26	10	6	10	38-34	26
„ხაზარი“	28	10	5	13	35-45	25
„ტორპ.“ ვ.	28	8	4	16	26-41	20
„შევარ.“-სპი	28	8	4	16	32-57	20
„ლოკომ.“	28	7	4	17	26-52	18
„ლოკ.“-ომც	28	5	4	19	30-67	14
„ბაკინეცი“	28	2	2	24	15-90	6

ქალთა საკავშირო პერიმეტრულ ტენისში

ალმა-ათაში (ალმა-ათა) სსრ კავშირის ქალთა 18-ე ჩემპიონატზე 4 ტურის შემდეგ 4 ქულით დაწინაურდა იულია დიომინა (ნოვოსიბირსკი). შემდეგ მოდიან: ლიუდმილა კულიკოვა (ერევანი) — 3,5, ირინა ჩელუშკინა (ლვოვი) — 3, ნინო გურეიელი (თბილისი) — 2,5 (1), სვეტლანა მატვეევა (ფრუნზე) — 2 (1), ქეთევან კახიანი (გარდაბანი), თამარ კოგანი (ჩიმკენტი), სვეტლანა პრუდნიკოვა (ნოვოსიბირსკი), ელმირა სახატოვა (ალმა-ათა), მარინა შერემეტიევა (კიშინიოვი) — 2-2. ნინო მელაშვილს 1,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ნანა ალექსანდრიას — 0 (2).

პირველი ხუთი ადგილის მფლობელი ითამაშებს საზონათშორისო ტურნირში, რომელშიც ნანა ალექსანდრია პერსონალურად არის დაშვებული.

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 12 ოქტომბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **20.05 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 12 ოქტომბერი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (თბილისი). 11 ოქტომბრის მატჩის II ტაიმის ვიდეოჩანაწერი — **21.15.**

რედაქტორის მოადგილე
უ. ჯიბინაძე.

საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

ინგლისი

V ტური. მტკ — „ტატაბანია“ 3:3 (2:4), „ჰონვედი“ — „ვიდეოტონი“ 2:1, „სომბათჰეი“ — „ფერენცვაროში“ 2:2 (0:2), „ზალაეგერსბეგი“ — „პეჩი“ 2:2 (3:4), „დოჟა“ — „ვაშაში“ 1:1 (4:5), „დუნაივაროში“ — „ვეზპრემი“ 0:0 (7:8), ვაკ — „სიოფოკი“ 3:0, „ბეკეშჩაბა“ — „გიორი“ 1:2, (ფრჩხილებში აღნიშნულია მატჩის შემდგომი პენალტების შედეგი).

„ფერენცვაროში“	5	14
„რაბა ეტო“	5	12
„ვაკ“	5	11

თურქეთი

IV ტური. „საირერსპორი“ — „რიზესპორი“ 2:0, „კარსიაკა“ — „ბეშიქთაში“ 1:1, „კონიასპორი“ — „ალთაი სმირნა“ 3:0, „ზაკარიასპორი“ — „ანკარა“ 0:2, „ბურსასპორი“ — „მარასი“ 1:1, „მატალიასპორი“ — „ტრაბზონსპორი“ 1:1, „ფენერბახჩე“ — „სამსუნსპორი“ 0:0, „ბოლუსპორი“ — „გალათასარაი“ 0:0, „ადანასპორი“—„დემირსპორი“ 2:2.

„გალათასარაი“	10 ქულა
„ბოლუსპორი“	10
„ფენერბახჩე“	8

პორტუგალია

VI ტური. „ამადორა“ — „ფაფე“ 0:0, „სპორტინგი“ — „სეტუბალი“ 4:3, „ბავისტა“ — „ნაკ. ფუნჩალი“ 0:2, „პენაფელი“ — „შავიში“ 1:0, „ესპინიო“ — „ბრაგა“ 4:1, „გიმარაეში“ — „ბეირა“ 1:0, „პორტიმონენსე“ — „ლეიქსოესი“ 3:0, „ვიზეუ“ — „პორტო“ 0:0, „მარიტიმო“ — „ბენფიკა“ 1:1, „ფარენზე“ — „ბელენენსეში“ 2:1.

„სპორტინგი“	6	10
„ბენფიკა“	6	9
„პორტო“	6	9

საბერძნეთი

I ტური. „კალამარია“ — „დიაგორას“ 0:3, „დოქსა“ — „არის“ 0:0, „ლევადიაკოს“ — „ეთნიკოს“ 2:2, „ოლიმპიაკოს ვოლოს“ — „პანათინაიკოს“ 2:1, „ოლიმპიაკოს პირეოს“ — „აპოლონ“ 2:0, „ოფი კრეტა“ — „ირაკლის“ 3:3, „პანიონის“ — „აეკ 1:0, პაოკ — „ლარისა“ 2:1.

ბელგია

X ტური. „სენტ ტრიუდენი“ — „ანდერლეხტი“ 1:1, „ბეერსკოტი“ — „სერკლი“ 1:0, „შარლერუა“ — „ბეევერენი“ 2:0, „კორტრიკი“ — „სტანდარდი“ 3:1, „ლიეჟი“ — „ვარეგემი“ 3:1, „ლოკერენი“ — „ანტვერპენი“ 2:2, „ბრიუგე“ — „მეხელენი“ 0:1, „მოლენბეიკი“ — „ლიერსი“ 0:1, „რესინგ-მეხელენი“ — „გენკი“ 4:0.

„მეხელენი“	10	22-8	18
„ანდერლეხტი“	10	24-9	17
„ანტვერპენი“	10	24-14	15

ჩეხოსლოვაკია

VII ტური. „დუკლა“ — „ტრნავა“ 5:1, „ჰრადეც კრალოვი“ — „დუნაისკა სტრუდა“ 1:0, „რუდა ჰვეზდა“ — „ინტერი“ 2:0, „ოლომოუცი“ — „სლავია“ 1:2, „ნიტრა“ — „ბანსკა ბისტრიცა“ 4:2, „სლოვანი“ — „ბანიკი“ 3:2, „ვიტკოვიცე“ — „სპარტა“ 1:0, „ბოჰემიანსი“ — „შკოდა“ 1:0.

„სლავია“	7	18-11	11
„სპარტა“	7	18-7	10
„ვიტკოვიცე“	7	14-6	9

პოლონეთი

IX ტური. „ვიძევი“ — „მელეცი“ 0:0, „ლეგია“ — „კატოვიცე“ 0:2, „ხოჟუვი“ — „შჩეცინი“ 1:1, „ვროცლავი“ — „ლეხი პოზნანი“ 1:2, „ბიტომი“ — „ლეს „ლოძი“ 2:0, „ვალბრჟიხი“ — „ბიალისტოკი“ 2:0, „ზაბეჟე“ — „კრაკოვი“ 4:0, „ოლიმპია პოზნანი“ — „იასტრები“ 1:0.

„გურნიკი ზაბეჟე“	9	22-9	16
„კატოვიცე“	9	14-4	16
„რუხი ხოჟუვი“	9	12-5	14

ინგლისი

V ტური. „ასტონ ვილა“ — „ნოტინგემი“ 1:1, „ჩარლტონი“ — „ნიუკასლი“ 2:2, „დერბი“ — „ქუინს პარკი“ 0:1, „ევერტონი“ — „ლუტონი“ 0:2, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ვესთ ჰემი“ 2:0, „ნორვიჩი“ — „მილუოლი“ 2:2, „შეფილდი“ — „არსენალი“ 2:1, „საუთჰემპტონი“ — „ლივერპული“ 1:3, „ტოტენჰემი“ — „მიდლსბრო“ 3:2, „უომბლდონი“ — „ქოვენთრი“ 0:1.

„ნორვიჩი“	5	10-5	13
„ლივერპული“	5	9-3	11
„მილუოლი“	5	10-5	11

შოტლანდია

VI ტური. „აბერდინი“ — „ჰარტსი“ 1:0, „დანდი“ — „სელტიკი“ 1:0, „ჰიბერნიანი“ — „ჰაშილტონი“ 1:0, „მოდერეიული“ — „დანდი იუნაიტედი“ 1:0, „რეინჯერსი“ — „სენტ მირენი“ 2:1.

„რეინჯერსი“	6	13-3	11
„დანდი იუნაიტედი“	6	10-4	10
„აბერდინი“	6	8-5	8



ქვლავ ალენ პროსტი

ესპანეთში, „ხერეს-დე-ლა-ფრონტერას“ ტრასაზე გაიმართა „ფორმულა-1“ კლასის ავტომობილთა მსოფლიო ჩემპიონატის მეთოთხმეტე ეტაპი. გათამაშდა ესპანეთის „გრან პრი“.

ორი დღით ადრე, პირველ საკვალიფიკაციო რბოლაში, მეორე შედეგი აჩვენა ბელგიელმა ტიერი ბუტსანმა („ბენეტონი“), მაგრამ ავტომობილის შემოწმების შემდეგ იგი მოხსნეს შეჯიბრებიდან და შედეგი გაუქმეს. მიუხედავად ამისა, მეორე საწვრთნელ რბოლაში ბუტსანი მაინც დაუშვეს.

რბოლას სტარტიდანვე სათავეში ჩაუდგა ალენ პროსტი და ფინიშამდე არავის დაუთმო პირველობა. მთელი დისტანცია (303.696 კმ) მან გაიარა 1 საათში, 48 წუთსა და 43,851 წამში. საშუალო სიჩქარე იყო 167,586 კმ საათში.

რბოლის დასაწყისშივე ნაიჯელ მენსელმა გაუსწრო აირტონ სენას და პროსტს ჩაუდგა კვალში. ბრაზილიელი პილოტი განაცვიფრა ახალგაზრდა იტალიელის ალესანდრო ნანინის თამამმა მანევრმა. მან ტრასის ერთ-ერთ ურთულეს მრსახვევში ოსტატურად გაუსწრო სენას და მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენ-ჰონდა“) — 9, 2. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „უილიამს ჯადი“) — 6, 3. ალესანდრო ნანინი (იტალია, „ბენეტონ ფორდ კოსუორტი“) — 4, 4. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ-ჰონდა“) — 3, 5. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამს ჯადი“) — 2; 6. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი“) — 1 ქულა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, შედეგების შეჯამებისას გამოცხადდა, რომ ალენ პროსტს დაუკლდებოდა 6 ქულა, რადგან ესპანეთი მისთვის მეთორმეტე შედეგიანი ეტაპი იყო, „ფორმულა 1“ წესების თანახმად კი მხოლოდ 11 ეტაპზე ნაჩვენები საუკეთესო შედეგები ჯამდება. ამრიგად, ფრანგ სპორტსმენს ახლა 90-ის ნაცვლად 84 ქულა აქვს. 79 ქულით მეორე ადგილზეა აირტონ სენა. 38 ქულა აქვს გერჰარდ ბერგერს, 25 — ტიერი ბუტსანს, 24 — მიქელე ალბორეტოს. 16 ქულით მეექვსე ადგილზეა ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ლოტუს-ჰონდა“). მას ერთი ქულით ჩამორჩება დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ეროუზ მეგატრონი“), ახალგაზრდა ივან კაპელის (იტალია, „მარჩ ჯადი“) 14 ქულა აქვს და მერვე ადგილზეა. ალესანდრო ნანინი (13 ქულა) მეცხრეა, ნაიჯელ მენსელი (12 ქულა) კი მეათე.

კონსტრუქტორთა პირველობაზე მდგომარეობა ასეთია:

1. „მაკლარენ-ჰონდა“ — 169; 2. „ფერარი“ — 62; 3. „ბენეტონ ფორდ კოსუორტი“—38, 4. „ეროუზ-მეგატრონი“ — 20, 5. „მარჩ ჯადი“ — 19; 6. „ლოტუს-ჰონდა“ — 17; 7. „უილიამს ჯადი“ — 16, 8. „ტაიერელ ფორდ კოსუორტი“ — 5, 9. „რიალ ფორდ კოსუორტი“ — 3; 10. „მინარდი ფორდ კოსუორტი“ — 1 ქულა.

ჩემპიონატის მეთხუთმეტე ეტაპი გაიმართება 30 ოქტომბერს, იაპონიაში, „სუზუკის“ ტრასაზე.

დავით ჩუბინიძე.

„სპორტპროგნოზი“

მე-40 ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ მე-40 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 1-3 ოქტომბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 2.047.848 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (38) მოგებამ შეადგინა 808 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (1256) — 48, 11 შედეგის გამოცნობისთვის (11.561) — 18.

მე-40 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1988 წლის 24 ოქტომბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით.

კ. ზაუტაშვილის სახელობის საქცენტრალოლეტკლუბი „ამირანი“ იღებს ახალგაზრდა, საშუალო და უფროსი ასაკის მამაკაცებს სპორტულსა და ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელ ჯგუფებში სამედიცინო შემოწმებისა და ექიმის ნებართვის საფუძველზე.

ათლეტკლუბის პროგრამაშია ჯგუფთა ორი სახე: ა) ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი ჯგუფები, რომლის მიზანია მოდუნებული სხეულის კუნთებად ასხმა, დისჰარმონირებული სხეულის ზომიერად დაკუნთვა და ანატომიური რელიეფის სწორი განლაგება; კიდურების, წელის, მკერდისა და მენჯის გარშემოწერილობის ზომათა ურთიერთშეფარდება. მოვარჯიშენი დატვირთვას მიიღებენ ჯანმრთელობის შესაძლებლობისდა მიხედვით.

ბ) სპორტული ჯგუფები, რომელთა მიზანიცაა ბრძოლა მაღალი შედეგებისათვის. სპორტის ეს სახეობა ორ ქვესახეობად იყოფა:

1) ძალისმიერი სამჭიდი: ა) კლასიკური ბუქნი; ბ) კლასიკური წოლჭიმი; გ) ძალისმიერი ამოწევა.



2) თავისუფალი ვარჯიში, რაც ათლეტური სხეულის პოზირებაში გამოიხატება (ქორეოსინქრონი მუსიკის თანხლებით).

ზემოჩამოთვლილი ჯგუფების დაკომპლექტება ხდება ასაკის, ჯანმრთელობისა და ფიზიკური მომზადების გათვალისწინებით. ერთი ჯგუფის რაოდენობა განისაზღვრება 12 მოვარჯიშით. საწვრთნელი მეცადინეობა ეწყობა კვირაში სამჯერ სამ-სამი საათის ხანგრძლივობით მწვრთნელისა და ექიმის მეთვალყურეობით. ვარჯიშის მსურველნი სამედიცინო შემოწმებას გაივლიან თავთავიანთ პოლიკლინიკებში ათლეტკლუბის მიმართვის საფუძველზე.

მეცადინეობა ჩატარდება სპეციალური ინვენტარით აღჭურვილ დარბაზში, ხელბურთისა და ფრენბურთის დარბაზში თავისი სათამაშო ინვენტარითა და სარბენი ფართობით, საცურაო აუზში.

მეცადინეობა ფასიანია და ღირს 15 მანეთი თვეში, მაგრამ გადახდა — წელიწადში ორჯერ. ე. ი. ერთად გადაიხდება ექვსი თვის წვრთნის ღირებულება — 90 მანეთი.

საწყლისნო კომპლექსისა და ცურვის აუზის გამოყენება კვირაში სამჯერ, თითო აკადემიური საათით ღირს 3 მანეთი თვეში. მოქმედებს სარეაბილიტაციო აღდგენითი ცენტრი ფინური აბანოებით.

დაწვრილებითი ცნობებისა და მიმართვების გაცემა სწარმოებს სპორტული კომპლექსი „ბურევესტნიკის“ შენობაში. უნივერსიტეტის ქ. № 6, (ფიზიკის ინსტიტუტიდან უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსისა და სახელმწიფო ველოტრეკის მიმართულებით). ტელეფონ 39-26-14;

კ. ზაუტაშვილის სახელობის საქცენტრალოლეტკლუბი „ამირანის“ პრეზიდიუმი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „შერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ნაგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 ~~6 7 8 9~~ 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10854